ხელშეკრულება №105
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის
განხორციელების შესახებ
(CPV – 39141100)

თბილისი **14 ივლისი 2017 წ**

ერთი მხრივ, სსიპ „მწერალთა სახლი", წარმოდგენილი დირექტორ-მენეჯერის ნატალია ლომოურის სახით (შემდგომში - „შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს ,,ბრავო კავკასუსი", წარმოდგენილი მისი დირექტორის მამუკა დოლიძის სახით (შემდგომში – „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისათვის" მეტალის თაროების მიწოდებას.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **515,75** (ხუთას თხუთმეტი ლარი და 75 თეთრი) ლარს.

2.2. ერთი ერთეული მეტალის თაროს ღირებულებაა **103,15** (ას სამი ლარი და 15 თეთრი) ლარი.

2.3. ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

3. საქონლის სახეობა და მიწოდების პირობები

3.1. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის" 5 ერთეული მეტალის თაროს (STRONG 175/180) მიწოდებას.

3.2. „მიმწოდებელი" უზრუნველყოფს ,,შემსყიდველისთვის" საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 სამუშაო დღეში.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. "მიმწოდებელი" ფაქტიურად მოწოდებული საქონლის თაობაზე "შემსყიდველთან" ადგენს მიღება-ჩაბარების აქტს, რის საფუძველზეც წარუდგენს საგადასახადო დოკუმენტს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადით.

4.3. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღეში.

4.4. დაფინანსების წყარო: **საკუთარი შემოსავლები.**

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე "შემსყიდველის" მიერ იმ საქონლის მიღება, რომელიც უნდა მიაწოდოს "მიმწოდებელმა" ამ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და წესით.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების დროს საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს "მიმწოდებელი".

5.3. ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა, ხოლო საკითხის 10 დღის ვადაში მოუგვარებლობის შემთხვევაში, "შემსყიდველის" მიერ მიიღება გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

6. მხარეთა უფლებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვნად შესრულებაზე მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები.

ბ) დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის შესაბამისად.

ბ) დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარებმა დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8.3. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

9.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. სადავო საკითხების გადაწყვეტა

10.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა გარემოების ირგვლივ.

10.2. თუ "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ 30 დღის ვადაში სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების კონტროლი

11.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.

11.2. "შემსყიდველს" ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) მხარეთა შეთანხმებით.

ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 სექტემბრამდე.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

14.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება - ,,მიმწოდებელთან'', ერთი ეგზემპლარი -,,შემსყიდველთან''.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

სსიპ „მწერალთა სახლი"
ს/კ 205299005
მის: ქ. თბილისი, ივ. მაჩაბლის №13
ტელ: 2 97 41 01, 2 97 41 02
<u>**საბანკო რეკვიზიტები:**</u>
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
სახაზინო კოდი 33 02 01 26

,,მიმწოდებელი"

შპს ,,ბრავო კავკასუსი"
ს/კ 405067494
მის: თბილისი, მარშალ გელოვანი N8
ტელ: 2517400
<u>**საბანკო რეკვიზიტები:**</u>
ს.ს. ,,საქართველოს ბანკი"
BAGAGE22
ა/ა GE09BG0000000645886400

დირექტორ-მენეჯერი:

ნატალია ლომოური

დირექტორი:

მამუკა დოლიძე